ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება - N 19.1278.1606
5 / დეკემბერი / 2019 წ.

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ დაფუძნების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 27 ივნისის №16.48.691 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „დ.ბ[1]“ ქვეპუნქტის, 106[1] მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ დაფუძნების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 27 ივნისის №16.48.691 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ (ს/კ 404405960) წესდების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტის საფუძველზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ (ს/კ 404405960) დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის №17-01193322673-01 განცხადების გათვალისწინებით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ დაფუძნების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 27 ივნისის №16.48.691 დადგენილებაში და დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესდება ჩამოყალიბდეს ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ დირექტორს სადამფუძნებლო დოკუმენტში ცვლილების ასახვა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს მაია ბითაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის"

წ ე ს დ ე ბ ა

2019 წელი

მუხლი 1

ზოგადი დებულებები

1.1 იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი" (შემდგომში - ბოტანიკური ბაღი/ბაღი), შემოკლებული სახელწოდებაა - ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი", ინგლისური სახელწოდებაა: National Botanical Garden of Georgia, შემოკლებით - NBGG.

1.2 ბოტანიკური ბაღი წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლის მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობა. იგი იურიდიული პირის სტატუსს იძენს სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან და წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისას მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, სხვა საკანონმდებლო აქტების, წინამდებარე წესდების და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

1.3 ბოტანიკურ ბაღს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, განკერძოებული ქონება, საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის - სავალუტო ანგარიში) საბანკო დაწესებულებებში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

1.4 ბოტანიკური ბაღი უფლებამოსილია სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ერთად, თანასწორობის საფუძველზე გაერთიანდეს კავშირში, ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო და რეგიონალურ ასოციაციებში, საზოგადოებრივ მოძრაობებში, სამეცნიერო - კვლევით და სხვა გაერთიანებებში.

1.5 ბოტანიკურ ბაღს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით, დააფუძნოს ფილიალები, წარმომადგენლობები, სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირები, სამეცნიერო - კვლევითი ფონდები, რომლებიც იმოქმედებენ ბაღის მიერ დამტკიცებული აქტის საფუძველზე, აგრეთვე განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა.

1.6 ბოტანიკურ ბაღს საკუთრებაში აქვს განკერძოებული ქონება, რომელსაც განაგებს დანიშნულებისამებრ, თავისი მიზნების მისაღწევად. ბაღს უფლება აქვს იყოს მხარე გარიგებებში, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ სასამართლოში.

1.7 ბოტანიკურ ბაღს უფლება აქვს ჰქონდეს პირდაპირი საერთაშორისო კონტაქტები სხვა ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიული პირებთან, დადოს მათთან შესაბამისი შეთანხმებები, ხელშეკრულებები და მონაწილეობა მიიღოს იმ ღონისძიებების განხორციელებაში, რომელიც შესაბამისობაშია ბაღის მიზნებთან.

1.8 ბოტანიკური ბაღი დამოუკიდებელია თავისი დამფუძნებლის, ასევე, ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების მდგომარეობისაგან და პასუხს არ აგებს მათი ვალდებულებებისთვის, როგორც ისინი პასუხს არ აგებენ ბაღის ვალდებულებებისთვის. ბოტანიკური ბაღის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ მისი ქონებით.

1.9 ბოტანიკური ბაღის სამეურნეო წლად ითვლება კალენდარული წელი.

1.10 ბოტანიკური ბაღის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ბოტანიკურის ქ. #1 (ბოტანიკური ბაღი), ელექტრონული ფოსტის მისამართია: www.nbgg.ge.

მუხლი 2
ბოტანიკური ბაღის მიზნები და ამოცანები

2.1 ბოტანიკური ბაღის მიზნები და ამოცანებია:

2.1.1 ბიომრავალფეროვნების შესწავლა და კონსერვაცია, ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე;

2.1.2 მსოფლიოს სხვადასხვა ფლორისტული ოლქების მცენარეთა სახეობების კოლექციების შექმნა და არსებული კოლექციების მდგრადობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სამეცნიერო, საგანმანათლებლო და რეკრეაციული მიზნით;

2.1.3 საქართველოში გავრცელებული ენდემური და მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მქონე მცენარეთა სახეობებისა და კულტურული ფლორის ჯიშების ბოტანიკური კოლექციების (მცენარეთა ცოცხალი კოლექციის, თესლის ბანკის, ჰერბარიუმის ფონდის) შექმნა;

2.1.4 საქართველოს ფლორის საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გამრავლება, ex-situ კონსერვაცია და აღდგენა ბუნებრივ გარემოში;

2.1.5 მცენარეთა კონსერვაციის გლობალურ და რეგიონალურ პროგრამებში ჩართვა, საერთაშორისო ვალდებულებებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული სტრატეგიების განხორციელებისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

2.1.6 მცენარეთა კონსერვაციის ეროვნულ ქსელში ჩართვა და მისი საქმიანობის ხელშეწყობა;

2.1.7 საქართველოს მოსახლეობაში არსებული ტრადიციული ბოტანიკური ცოდნის შესწავლა, დოკუმენტირება და ეთნობოტანიკური მონაცემთა ბაზის შექმნა;

2.1.8 სამეცნიერო - კვლევით, საგანმანათლებლო და გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან ერთობლივი საქმიანობის წარმოება;

2.1.9 მცენარეთა კოლექციების შევსებისა და სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოების ჩატარების მიზნით საველე ექსპედიციების მოწყობა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

2.1.10 ბოტანიკური ბაღისა და მის მომიჯნავე ტერიტორიებზე მავნებელ-დაავადებათა სისტემატიური მონიტორინგი და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გატარება;

2.1.11 ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა/კონსერვაცია საქართველოს კანონმდელობით დადგენილი წესით და მათი პოპულარიზაცია;

2.1.12 დახურული გრუნტის საჭიროების მქონე კოლექციების შექმნა. მაღალი მთის, იშვიათი და ეგზოტური მცენარეების, ასევე, ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეებისათვის საკოლექციო-საგამოფენო ორანჟერეების განვითარება, ბაღის დეკორატიული გაფორმებისა და საკოლექციო მცენარეების გამრავლებისათვის სანერგე და სასათბურე მეურნეობების შექმნა და განვითარება;

2.1.13 ბოტანიკური ბაღის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული სარეკრეაციო სივრცეების/ტერიტორიების კეთილმოწყობა, გამწვანება, დასასვენებელი და ტურისტული მომსახურებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა;

2.1.14 საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება ყველა ასაკობრივ ჯგუფში და ამ მიზნით მოკლევადიანი და გრძელვადიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

2.1.15 სამეცნიერო კონფერენციების, კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებების, გამოფენების, სეზონური გამწვანების, გარემოსდაცვითი ღონისძიებების, ახალგაზრდული

აქტივობების, საზოგადოებრივი პროგრამების და სხვა მსგავსი ღონისძიებების მოწყობა, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება;

2.1.16 სამეცნიერო, შემეცნებით და საინფორმაციო ხასიათის ლიტერატურის/ბროშურების მომზადება და გამოცემა;

2.1.17 პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა და პროფესიული კადრების მომზადება, აგრეთვე ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული აღზრდის მიმართულებით შესაბამისი პირობების შექმნა;

2.1.18 ბოტანიკური ბაღის მიზნებიდან გამომდინარე თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასოციაციებთან, გაერთიანებებთან, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან;

2.1.19 საქართველოში მოქმედ სხვა ბოტანიკურ ბაღებთან თანამშრომლობა, მათი საქმინობის მხარდაჭერა, კონსულტაცია და ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი, საკოლექციო-გაცვლითი სამუშაობის წარმოება და საქმიანობის კოორდინაცია, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და ბოტანიკური ბაღების გლობალური პოლიტიკის დანერგვა;

2.1.20 ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა, მცენარეთა კოლექციის, ინფრასტრუქტურის და სხვა მატერიალური ფასეულობების დაცვა;

2.2. ბოტანიკური ბაღის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, საქმიანობის შესაბამისი მიმართულების ეფექტიანად მართვის და განხორციელების მიზნით, დამფუძნებლის თანხმობით, ბოტანიკური ბაღის მიერ შეიძლება შეიქმნას ბოტანიკური ბაღის ფილიალი, რომელიც არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს.

2.3. ბოტანიკური ბაღის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, საქმიანობის შესაბამისი მიმართულების ეფექტიანად მართვის და განხორციელების მიზნით ბოტანიკური ბაღის მიერ დამფუძნებლის თანხმობით, შეიძლება დაფუძნდეს საქართველოში მოქმედი ბოტანიკური ბაღების მაკოორდინირებელი ორგანო (ქსელი, ასოციაცია, კავშირი და ა.შ), რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს.

2.4. ბოტანიკურ ბაღს შეუძლია განახორციელოს სხვა ისეთი არასამეწარმეო ან დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონდებლობით. სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები უნდა მოხმარდეს ბოტანიკური ბაღის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

მუხლი 3
ბოტანიკური ბაღის დამფუძნებლები

3.1 ბოტანიკური ბაღი იქმნება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.

3.2 ბოტანიკური ბაღის დამფუძნებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა (შემდგომში - დამფუძნებელი).

მუხლი 4
ბოტანიკური ბაღის დამფუძნებლის უფლებამოსილება

4.1 დამფუძნებელი უფლებამოსილია:

4.1.1 დაამტკიცოს ბოტანიკური ბაღის წესდება, შეიტანოს მასში ცვლილებები და დამატებები;

4.1.2 დანიშნოს და თანამდებობიდან გაათავისუფლოს ბოტანიკური ბაღის დირექტორი, განსაზღვროს მისი უფლებები და ვალდებულებები;

4.1.3 დაამტკიცოს ბოტანიკური ბაღის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა;

4.1.4 შეითანხმოს ბოტანიკური ბაღის ლანდშაფტური განვითარების გეგმები;

4.1.5 მოითხოვოს ყოველგვარი ინფორმაცია ხელმძღვანელი პირებისაგან ბოტანიკური ბაღის საქმიანობის შესახებ;

4.1.6 მოისმინოს ფინანსური და სხვა სახის ანგარიშები;

4.1.7 დაამტკიცოს ბოტანიკური ბაღის მიერ დასაფინანსებელი ცალკეული პროექტები და აკონტროლოს მათი განხორციელება;

4.1.8 განიხილოს ბოტანიკური ბაღის დირექტორის მიერ ბიუჯეტის ათვისების, ასევე, საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიში;

4.1.9 დაამტკიცოს ბოტანიკური ბაღის საქმიანობის ბიუჯეტი და ბაღის მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მასში ცვლილებები და შეიტანოს დამატებები;

4.1.10 მიიღოს გადაწყვეტილება ბოტანიკური ბაღის საქმიანობის შეჩერების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის თაობაზე;

4.1.11 განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები, აგრეთვე გადაწყვიტოს ყველა ის საკითხი, რომელიც ამ წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით არ განეკუთვნება დირექტორის უფლებამოსილებას ან/და სცილდება ბოტანიკური ბაღის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

4.2 მხოლოდ დამფუძნებლის წინასწარი წერილობითი თანხმობით არის შესაძლებელი:

4.2.1 ბოტანიკური ბაღის მიერ უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

4.2.2 სესხის აღება/გაცემა;

4.2.3 თავდებობა;

4.2.4 სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნება;

4.2.5 სხვა გადაწყვეტილებების მიღება ბოტანიკური ბაღის ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 5
ბოტანიკური ბაღის მართვა

5.1 ბოტანიკურ ბაღს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი. ბოტანიკური ბაღის დირექტორი ინიშნება უვადოდ ან დამფუძნებლის მიერ განსაზღვრული ვადით.

5.2 ბოტანიკური ბაღის დირექტორი:

5.2.1 ახორციელებს ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს;

5.2.2 მოქმედებს ბოტანიკური ბაღის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში, ბოტანიკური ბაღის სახელით დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს, საქართველოს კანონდებლობით და ამ წესდებით დადგენილი წესით იძენს და განკარგავს ქონებას;

5.2.3 ბოტანიკური ბაღის მიზნების მისაღწევად იყენებს ბოტანიკური ბაღის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ქონებას, ასევე, ბოტანიკური ბაღის ანგარიშებზე არსებულ მატერიალურ სახსრებს. ბოტანიკური ბაღის დირექტორი პასუხისმგებელია მატერიალური სახსრების მიზნობრივად და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე;

5.2.4 ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში, ხელს აწერს ბოტანიკური ბაღის საფინანსო და სხვა სახის ოფიციალურ დოკუმენტაციას;

5.2.5 ამტკიცებს ბოტანიკური ბაღის შრომის შინაგანაწესს, თანამშრომელთა თანამდებობრივ და სამოქმედო ინსტრუქციებს;

5.2.6 დამფუძნებლის თანხმობით განსაზღვრავს ბოტანიკური ბაღის სტრუქტურას და სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციებს, დამფუძნებლის თანხმობით აარსებს ბოტანიკური ბაღის ფილიალს და ამტკიცებს მის დებულებას;

5.2.7 დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს ბოტანიკური ბაღის ბიუჯეტის პროექტს;

5.2.8 დამფუძნებლის თანხმობით განსაზღვრავს და ამტკიცებს ბოტანიკური ბაღის საშტატო ნუსხას და შრომის ანაზღაურების საკითხებს, ფულადი ჯილდოს ფონდის, საწვავისა და საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების ოდენობას;

5.2.9 დამფუძნებელთან შეთანხმებით განსაზღვრავს და ამტკიცებს ბოტანიკური ბაღის და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების/ფილიალების დათვალიერების/შესვლის ტარიფებს, მომსახურებისა და დამხმარე სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს;

5.2.10 ნიშნავს და ათავისუფლებს თანამშრომლებს, აფორმებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს, განსაზღვრავს თანამშრომელთა ფუნქციებს და უფლება-ვალდებულებებს, აკონტროლებს თანამშრომელთა მიერ ვალდებულებების შესრულებას, გასცემს მინდობილობებს.

5.2.11 წყვეტს თანამშრომელთა წახალისების (ფულადი ჯილდო, სიგელი და სხვა) და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს;

5.2.12 საჭიროების შემთხვევაში ქმნის საკონსულტაციო ორგანოებს (საბჭო, კომისია, სამუშაო ჯგუფი) და განსაზღვრავს მის ფუნქციებს;

5.2.13 ამტკიცებს ბოტანიკური ბაღის ღონისძიებათა პროგრამებს, სხვადასხვა გეგმებისა და სამეცნიერო პროექტებს;

5.2.14 განსაზღვრავს ბოტანიკური ბაღის მცენარეთა კოლექციების პოლიტიკას, სამეცნიერო-კვლევითი საქმინობის სტრატეგიულ მიმართულებებს და ამტკიცებს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ინსტრუქციას;

5.2.15 სტიქიური შემთხვევების, უამინდობისა და სხვა ფორს-მაჟორულ ვითარებაში, ან/და სანიტარული დასუფთავების აუცილებლობის, ან სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოების დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე, იღებს გადაწყვეტილებებს დამთვალიერებლებისათვის/ვიზიტორებისთვის დროებით ბაღის/სარეკრეაციო სივრცის სრული ან ნაწილობრივი დახურვის შესახებ. ბოტანიკური ბაღის დროებით სრულად დახურვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დამფუძნებელს.

5.2.16 დამფუძნებლის თანხმობით ამტკიცებს ლოგოს და სხვა ოფიციალურ სიმბოლიკას;

5.2.17 თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს ბაღის შიდა ტერიტორიული მოწყობის (დაყოფის), სახელდებისა და ნუმერაციის თაობაზე;

5.2.18 ბოტანიკური ბაღის საქმიანობის შესახებ დამფუძნებელს წარუდგენს პერიოდულ ანგარიშს;

5.2.19 ადგენს მატერიალურ ფასეულობებზე, შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ და შრომით დისციპლინაზე პასუხისმგებელ პირთა წრეს;

5.2.20 ხელმძღვანელობითი და ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებისას საჭიროებისამებს გამოსცემს სხვადასხვა სახის ბრძანებებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;
5.2.21 წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ასრულებს სხვა უფლებამოსილებებს.
5.3 ბოტანიკური ბაღის დირექტორის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს დროებით, ბოტანიკური ბაღის წერილობითი დავალებით, ასრულებს ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილე.

მუხლი 6
ბოტანიკური ბაღის საზოგადოებრივი საბჭო

6.1 დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, ბოტანიკური ბაღის საქმიანობის ხელშეწყობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება შეიქმნას ბოტანიკური ბაღის საზოგადოებრივი საბჭო (შემდგომში - საზოგადოებრივი საბჭო). საზოგადოებრივი საბჭოს შემადგენლობას და რაოდენობას განსაზღვრავს დამფუძნებელი.
6.2 საზოგადოებრივი საბჭო:
6.2.1 განიხილავს ბოტანიკური ბაღის დირექტორის ანგარიშებს ბოტანიკური ბაღის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ;
6.2.2 დამფუძნებლის ან ბოტანიკური ბაღის დირექტორის ინიციატივით განიხილავს ბოტანიკური ბაღის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებს;
6.2.3 ბოტანიკური ბაღის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.
6.3 საზოგადოებრივი საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 6 თვეში ერთხელ.
6.4 საზოგადოებრივი საბჭო რიგგარეშედ შეიძლება შეიკრიბოს:
6.4.1 საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით;
6.4.2 დამფუძნებლის ინიციატივით;
6.4.3 ბოტანიკური ბაღის დირექტორის ინიციატივით;
6.4.4 საზოგადოებრივი საბჭოს წევრთა არანაკლებ ¼ -ის მოთხოვნით.
6.5 საზოგადოებრივი საჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარის ხმას ენიჭება უპირატესი უფლება.
6.6 საზოგადოებრივი საბჭოს საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ბოტანიკურ ბაღის ადმინისტრაცია.

მუხლი 7
ბოტანიკური ბაღის ქონება, საფინანსო - სამეურნეო საქმიანობა

7.1 ბოტანიკური ბაღის ქონებას შეადგენს ძირითადი, საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობანი, რომლებიც ასახულია მის დამოუკიდებელ ბალანსში და საჭიროა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისთვის.

7.2 ბოტანიკური ბაღის დაფინანსების წყაროებია:

7.2.1 ადგილობრივი ბიუჯეტი;

7.2.2 მიზნობრივი სახელმწიფო სუბსიდიები;

7.2.3 სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ბანკების, სხვა საფინანსო დაწესებულებების საწარმოების, გაერთიანებების, ფონდების, სპონსორების, საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე ცალკეულ პირთა შემოწირულობანი ან/და გრანტები, როგორც ეროვნული ისე უცხოური ვალუტით;

7.2.4 საქართველოს კანონდებლობით ნებადართული ისეთი კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონდებლობას და წინამდებარე წესდებას.

7.2.5 საქართველოს კანონდელობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

7.3 ბოტანიკურ ბაღს შეუძლია საკუთრებაში ჰქონდეს მიწის ნაკვეთები, შენობა - ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, ინვენტარი და სხვა ქონება, რაც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით.

7.4 ბოტანიკურ ბაღის მიერ დამხმარე სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ წესდებით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების განსახორციელებლად. მისი განაწილება დამფუძნებლებს, ასევე ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის არ დაიშვება.

7.5 ბოტანიკური ბაღის დირექტორს აკისრია პასუხისმგებლობა ფულადი სახსრების მიზნობრივ განკარგვასა და ქონების დაცვის საქმეში.

7.6 ბოტანიკური ბაღი მისთვის გადაცემულ ქონებას და სახსრებს ფლობს, იყენებს და განკარგავს წესდებით დადგენილი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. ქონების გასხვისება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს შეუწყობს ბოტანიკური ბაღის განვითარებას, მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას, ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს. ქონების შეძენა და გასხვისება ხდება საქართველოს კანონდებლობით დადგენილი წესით. ქონება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, აუქციონის გარეშე, საკუთრებაში შეიძლება გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

7.7 ბოტანიკური ბაღი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას.

მუხლი 8

ბოტანიკური ბაღის წესდების მოქმედების, გაუქმების, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესები

8.1 ბოტანიკური ბაღის წესდება მოქმედებს მისი საქმიანობის ყველა სფეროში, მისი დაცვა სავალდებულოა ბაღის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ყველა პირისათვის.

8.2 წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ასევე ახალი წესდების მიღება ბოტანიკური ბაღის დამფუძნებლის განსაკუთრებული პრეროგატივაა.

მუხლი 9

ბოტანიკური ბაღის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

9.1 ბოტანიკური ბაღის რეორგანიზაცია (დაყოფა და გაერთიანება/შერწყმა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.2 ბოტანიკური ბაღის ლიკვიდაცია ხდება კანონდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.